პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 261 (10037) | ოთხშაბათი, 3 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან).

საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

კიდევ რამდენიმე დღე და მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია უდიდესი შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით აღფრთოვანებული მუშა და კოლმეურნე, მეშახტე და ტრაქტორისტი, მეტალურგი და მეცხვარე, ქალი და კაცი, დიდი და პატარა — ყველა ცდილობს საამაყო მაჩვენებლებით შეხვდეს ტრადიციულ დღესასწაულს.

კომუნისტური პარტიის საოქტომბრო მოწოდებებში გამოხატულია მშობლიური ზრუნვა საბჭოთა ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხალხს ჩვენი სამშობლოს უფრო მეტად აყვავებისათვის საბრძოლველად რაზმავს და ამჟიდროებს კომუნისტური პარტიის მოწოდება:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში! გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის — სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლისათვის!

ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ზრდა ხალხის კეთილდღეობის ზრდის საწინდარია. საბჭოთა ხალხის ურღვევ ნებასა და საბჭოთა წყობილების ძლიერებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მეხუთე ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა 46 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგანთა წარმოება — 43 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უკვე გასულ წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით 71 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა ხალხი ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევა და წარმატებით აშენებს ახალ კომუნისტურ საზოგადოებას. ჩვენს ხალხს ყველა პირობა აქვს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ეს პირობები მას შეუქმნა და დაუმკვიდრა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში განუხრელად მცირდება სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მყიდველობითი უნარი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასები ჩვენში შემცირდა 25 პროცენტით და უფრო მეტად. მეხუთე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 30 პროცენტით გაიზარდა.

დიდი დრო როდი გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტურმა პარტიამ უძლიერეს მძიმე ინდუსტრიაზე დაყრდნობით, მისი განვითარების ტემპის შეუნელებლად, დასახა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის პროგრამა. და აი უკვე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გადიდდა მატყლის ქსოვილის წარმოება 56 პროცენტით, აბრეშუმისა — 45 პროცენტით, ტანსაცმლისა — 24 პროცენტით, ხორცის ნაწარმისა — 30 პროცენტით.

მნიშვნელოვნად ამაღლდა საბჭოთა მოხმარებლის კულტურა და მოთხოვნილება. მას არ აკმაყოფილებს დაბალი ასორტიმენტის საქონელი. მოითხოვს მაღალი ხარისხის, ლამაზად გაფორმებულ ქსოვილს, ფეხსაცმელს, სამრეწველო საქონელს. ეს უფრო მეტად ზრდის მრეწველობის მუშაკთა პასუხისმგებლობას.

მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების მთავარი პირობაა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამ საქმეს უდიდეს ყურადღებას აქცევენ. აღით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს 17 მილიონამდე ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა მოხნეს. დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა საპატიო მოვალეობაა საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფა სასურსათო საქონლით. პარტიის მოწოდებებში ნათქვამია:

— სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის! მიეცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, რძე, ხორცი, მატყლი, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

პარტიის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. განუწყვეტლივ მოდის დეპეშები, რომლებიც გვაუწყებენ რესპუბლიკის რაიონების მორიგ გამარჯვებებს — ისინი გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ სამეურნეო გეგმებს, კეთილსინდისიერად იხდიან ვალს სამშობლოს წინაშე და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით აბარებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

სულ უფრო იზრდება მილიონერი კოლმეურნეობებისა და ბრიგადების რიცხვი, იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. ავიღოთ თუნდაც გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მხოლოდ ერთმა კალისტრატე ბულისკერიას ოჯახმა, სადაც სამი სოციალისტური შრომის გმირია, შარშან 1.371 შრომადღე გამოიმუშავა და ფულად მიიღო 42.809 მანეთი, ხოლო ნატურით — 3 350 კილოგრამი მარცვლეული.

ბედნიერი და საამური შრომა დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში. ათასობით ადამიანი ისვენებს კეთილმოწყობილ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. ისვენებენ იმისათვის, რომ შემდეგ ახალი ენერგიით ჩაებან სოციალისტურ შრომაში.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას, შენდება ახალი სკოლები, საავადმყოფოები, სასტუმროები, კულტურის სახლები, საცხოვრებელი ბინები. მარტო შარშან საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 28 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ხოლო სოფლებში აშენდა 400 ათასზე მეტი ახალი საცხოვრებელი სახლი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა.

საბინაო მშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებშიც. რესპუბლიკის მრავალი მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავს ახალ კეთილმოწყობილ ბინაში გაითენებს. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა წელს მიიღეს 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი. ამას წინათ 36-ბინიანი ორი ახალი სახლი მიიღეს სოხუმელმა რკინიგზელებმა.

პარტია და მთავრობა მშენებლებისაგან მოითხოვენ მშენებლობის ტემპის შემდგომ დაჩქარებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. პარტიის მოწოდებებში ნათქვამია:

— მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

საბჭოთა ხალხი სწრაფი ნაბიჯით მიემართება აღმავლობის გზით. მისი წინსვლისა და წარმატების სულისჩამდგმელია გენიალური ბელადისა და მასწავლებლის დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას წარმართავს პარტია, რომელსაც ხანგრძლივი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა და აწრთობდა დიდი სტალინი.

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

1. ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს გამოეყო ოჩხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ოჩხამურის ჩაის ფაბრიკის, ტუნგოს ქარხნის, ქობულეთის რაიმრეწკომბინატის აგურ-კრამიტის ქარხნის და რკინიგზის სადგურ ოჩხამურის დასახლებული პუნქტები და მათგან შეიქმნა დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ოჩხამური.

2. დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტ) ოჩხამურში შეიქმნა ოჩხამურის სადაბო საბჭო.

3. ლეღვას სასოფლო საბჭოს გამოეყო და ადმინისტრაციულად ოჩხამურის სადაბო საბჭოს დაექვემდებარა ცეცხლაურის ციტრუსებისა და ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობების დასახლებული პუნქტები, მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1 ნოემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა ლენინის ორდენი გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხანაგ მ. გ. პერვუხინს, რომელიც დაჯილდოებულია დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის.

ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა გულთბილად მიულოცა ამხანაგ მ. გ. პერვუხინს და უსურვა მას შემდგომი წარმატებანი მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში.

* * *

იმავე დღეს ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და უროო" გადასცა სოციალისტური შრომის გმირს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ა. ა. სკოჩინსკის. სოციალისტური შრომის გმირის წოდება აკადემიკოს ა. ა. სკოჩინსკის მიენიჭა დიდი დამსახურებისათვის სამთო მრეწველობის განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური კადრების მომზადების დარგში და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვ. პ. ელიუტინს.

ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა, გადასცა რა ორდენები, გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.

მკერავთა შრომითი საჩუქრები

ლენინგრადი. 1 ნოემბერი. (საკდესი). სამკერვალო ფაბრიკა „პერვომაისკაიას" საამქროს სტენდებზეა მოქარგული და მძიმებით გაწყობილი ქალისა და ბავშვის შალის და აბრეშუმის კაბები. კონვეიერული ლენტით ნელა მოძრაობს სხვადასხვა ფერის მატერიის დეტალები. ეს არის ჩინური აბრეშუმის ნაწარმი.

მკერავები აახლებენ ასორტიმენტს და ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას. წელს ათვისებულია 270-ზე მეტი ფასონი. 70 ათასზე მეტი ნაწარმი გამოშვებულია დავალების გადამეტებით. საწარმოს კოლექტივი უკვე ორი კვირაა პროდუქციის ოქტომბრის გეგმის გადამეტებით უშვებს. ფაბრიკაში ფართოდ იყენებენ მცირე მექანიზაციას. ახლა ყოველ კონვეიერზე იკერება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ფასონის ნაწარმი.

დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლექტივმა მიაღწია პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაღალ მაჩვენებლებს და ხუთი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა დავალება. მესამე კვარტალში მიღწეული წარმატებებისათვის ფაბრიკა „პერვომაისკაიას" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

ტირაჟები ნოემბერში

ამ თვეში გაიმართება სახელმწიფო მომგებიან სესხთა სამი ტირაჟი.

14 ნოემბერს მოსკოვში მოეწყობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1951 წლის გამოშვება) მოგებათა მორიგი ტირაჟი. 21 ნოემბერს — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის დაფარვის მეორე ტირაჟი. ეს ტირაჟი გაიმართება მოსკოვში.

მოსკოვში მოეწყობა აგრეთვე სახელმწიფო 3-პროცენტიანი სესხის მოგებათა 42-ე ძირითადი ტირაჟი. იგი შედგება 30 ნოემბერს.

(საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

საოქტომგრო შრომითს ვახტზე

სტალინის სახელობის ქარხანაში

მასობრივად გაჩაღდა საოქტომბრო შრომითს ვახტზე მდგომთა სოციალისტური შეჯიბრება დიადი დღესასწაულისათვის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ყველა საამქროში, ყველა საწარმოო უბანზე დაწინაურდნენ ახალი ადამიანები.

იზოთერმიული ვაგონების შემკეთებელ საამქროში თავი ისახელა ნოვატორი ზეინკლის ზ. გამყრელიძის ბრიგადამ, რომელმაც ოქტომბრის საწარმოო დავალება 4 დღით ადრე გაანაღდა. იმავე საამქროში ვადამდე გეგმის შესრულებით თავი ისახელეს დურგლების გ. საპონჯიანისა და ა. მამულაშვილის ბრიგადებმა. ეს ბრიგადები ამჟამად მუშაობენ 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოსაშვები იზოთერმიული ვაგონების შეკეთებაზე.

წარმატებით მუშაობს ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს კოლექტივი. აქ განსაკუთრებით ისახელეს თავი ტ. სულეიმანოვისა და ვ. ევდოკიმოვის ბრიგადებმა, რომლებმაც ოქტომბრის გეგმები ორი კვირით ადრე შეასრულეს და 15 ოქტომბრიდან ნოემბრის ანგარიშში იძლევიან პროდუქციას.

უმაგალითო ენთუზიაზმით მუშაობს მთელი ქარხნის კოლექტივი საშვიდნოემბრო საწარმოო საჩუქრად გეგმის გადამეტებით იზოთერმიული და სამგზავრო ვაგონების გამოსაშვებად.

გ. კაჭკაჭიშვილი.

შაბიამანი მევენახეებისათვის

ქუთაისი. (ტელეფონით საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულება — 110 პროცენტით შეასრულა სექტემბერ-ოქტომბრის დავალება. მან გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა ათიოდ ათასობით მანეთის პროდუქცია.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ისახელეს თავი ლიტოპონის, ბარიუმისა და თუთიის საამქროებმა. თუთიის საამქროს კოლექტივმა მარტო ოქტომბერში რესპუბლიკის მევენახეებისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 60 ტონა შაბიამანი.

ზორგოვანი სასუქების დამზადების გეგმის შესრულება

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ტორფის ქარხნების სამმართველოს საწარმოები ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს 7 ნოემბრამდე შეესრულებინათ ტორფოვანი სასუქების მოპოვებისა და დამზადების 1954 წლის გეგმები.

შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად ქარხნებმა ნაკისრი ვალდებულებები ვადამდე გაანაღდეს. ტორფის ნედლეულის ამოღების წლიური გეგმა 104,4 პროცენტით შესრულეს.

ტორფის ქარხნების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე დამატებით ამოიღოს 65.000 ტონა ნედლეული, გამოზიდოს 40.000 ტონა და გადაამუშაოს 40.000 ტონა ტორფი.

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვს ქობულეთის ტორფის ქარხანას, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ტორფოვანი სასუქების დამზადების გეგმა. საგრძნობლად გადიდდა შრომის ნაყოფიერება და 5 მანეთით შემცირდა თვითეული ტონა სასუქის ღირებულება. ასევე კარგი მაჩვენებლები აქვს ზუგდიდის ტორფის ქარხანას.

საქართველოს მშრომელები—მოსკოველებს

საქართველოს მშრომელები ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოსკოვის მოსახლეობას სადღესასწაულოდ უგზავნიან დიდძალ ხილსა და კონსერვს.

მოსკოვში მაღაზია „საქართველოს" ამ დღეებში გაეგზავნა 15 ვაგონი ვაშლი და მსხალი, ხურმა, მანდარინი, ერთი ვაგონი თხილი, ერთი ვაგონი საუკეთესო ხარისხის სარდინი, რომელიც დამზადებულია სოხუმის თევზის კომბინატის მიერ, ორი ვაგონი ქართული ღვინო, რომი და კონიაკი.

გამზადებულია მოსკოვში გასაგზავნად დიდძალი ჩირი, ხურმა. სამტრესტი და კონსერვტრესტი გზავნიან ვაშლსა და ყურძენს, მანდარინს და ორ ვაგონ ბოსტნეულის კონსერვს. გაიგზავნება აგრეთვე უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი, საქართველოს საკონდიტრო ქარხნებში დამზადებული 35 ტონა ნაწარმი — შაქარნაბადი, შაქარლუხუმი, ხაოვა, ნამცხვარი, შოკოლადი და სხვ.

საკონდიტრო ნაწარმი ათი თვის გეგმის გადამეტებით

სოხუმი, 2 ნოემბერი. (საქდესი). 40-მდე სხვადასხვა სახელწოდების საკონდიტრო ნაწარმს, ნამცხვარს, კარამელს, თაფლის პურს, ბისკვიტს უშვებს სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკა.

სოხუმის კონდიტრებმა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ არსებულ საწარმოო ფართობს და ფაბრიკის საამქროებში დადგმულ უახლეს მოწყობილობას — როტაციულ-სატვიფრავ და საყალიბო მანქანებს, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მათ ათი თვის გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 80 ტონა საკონდიტრო ნაწარმი და ვალდებულება იკისრეს 7 ნოემბრისათვის დაამზადონ კიდევ 40 ტონა ზეგეგმითი პროდუქცია.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში კონდიტრებმა აითვისეს ხუთი ახალი სახეობის მაღალხარისხოვანი ნამცხვარისა და კარამელის გამოშვება.

ქუთაისის, ხაშურის და ზესტაფონის მტს-ებმა წლიური საწარმოო გეგმები შეასრულეს

ქუთაისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი ახალი საჩუქრებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. 1954 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 156 პროცენტით გაანაღდა, მოხნა 32.372 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით, გეგმა კი 28.000 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოხნან 2.000 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს ახალი წარმატებით ხვდება ხაშურის მტს-ი. მანქანების სრულად გამოყენების შედეგად მან სატრაქტორო სამუშაოთა წლიური საწარმოო გეგმა 30 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოხნას 1.000 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

* * *

ზესტაფონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 30 ოქტომბრისათვის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური საწარმოო გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა. ნაცვლად 12.400 ჰექტარისა მოხნულია 12.623 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

მექანიზატორებმა პირობა დადეს გეგმის გადამეტებით მოხნან 1.200 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

კარტოფილის ჩაბარების გეგმა შესრულებულია

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 26 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმა.

წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელმა მესაზღვრემ", ვალეს მახარაძის სახელობის, საძელის ვოროშილოვის სახელობის და პამაჯის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით ტონობით კარტოფილი დაამზადეს.

კოლმეურნეობებმა იკისრეს 7 ნოემბრამდე გეგმის გადამეტებით 1.000 ტონა კარტოფილი დაამზადონ.

შესრულებულია ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

ლანჩხუთი, 2 ნოემბერი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 6.447 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა წელს შაქრის ჭარხლის ბარაქიან მოსავალს იღებს. ანა ცოტნიაშვილის რგოლმა 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 350 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა. სურათზე: წინა პლანზე ა. ცოტნიაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქრისტესიაშვილი ამოწმებენ შაქრის ჭარხლის ხარისხს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

პარჯგუფის ძაღლია კომუნისტთა ორგანიზებულობა და აქტივობა

საქვაბე საამქროში ერთხანს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა ქვაბების ამწყობი უბანი. ვერ ასრულებდა ცვლის სადღეღამისო დავალებებს, იყო წუნდებული პროდუქციის გამომვების შემთხვევები, ირღვეოდა შრომის დისციპლინა. უბნის პარტიული ჯგუფი ვერ ახორციელებდა ავანგარდიულ როლს, სუსტად იყენებდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას, თავის კრებებზე იშვიათად განიხილავდა საგეგმიანო-მასობრივი მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა შეისწავლა ამ საწარმოო უბანში შექმნილი მდგომარეობა და კომუნისტების მიერ წამოყენებულ საქმიან წინადადებათა საფუძველზე განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყოველივე ამის შედეგად ქვაბების ამწყობ უბანში საქმე გამოსწორდა. გამოცოცხლდა პარტიული ჯგუფის მუშაობა, გაძლიერდა პოლიტიკური აგიტაცია, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდიული როლი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში 50 პარტიული ჯგუფია. ისინი სერიოზულ დახმარებას უწევენ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს მათს წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში. პარტჯგუფები თავიანთ კრებებზე სისტემატურად განიხილავენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, უბნის საწარმოო საქმიანობის საკითხებს.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ ჯგუფებში ამჟამად მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ზეინკალთა ბრიგადის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა დაწვრილებით ილაპარაკეს საწარმოო დავალების შესრულების საკითხებზე, თავიანთი წინადადებანი წამოაყენეს ბრიგადაში ზეპირი და თვალსაჩინო აგიტაციის უკეთ მოწყობისათვის, კედლის გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ზეინკალმა გ. გოგიაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა საამქროს ადმინისტრაცია, რომელიც არ ზრუნავს თვის დასაწყისშივე შეწყობილი მუშაობისათვის. ეს გარემოება იწვევს იერიშობანას, გეგმის შეუსრულებლობას და პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. კომუნისტმა კ. ლეშჩენკომ აღნიშნა, რომ პარტჯგუფი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ახალგაზრდა მუშებთან, არ აწყობს მათთან ძველი, გამოცდილი მუშების შეხვედრებს, საუბრებს.

კრებამ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი და ფარული კენჭისყრით პარტჯგუფორგად აირჩია ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი პ. ბედენაშვილი.

ოქტომბერში საქვაბე საამქროს ბრიგადას, რომელსაც ფ. გავრილოვი ხელძღვანელობს, ჯრთქლის ქვაბების შეკეთების გეგმის შესრულება გაუძნელდა. პარტჯგუფორგის ი. დევსურაშვილის ინიციატივით გადაწყდა ფ. გავრილოვისათვის მეორე ბრიგადა მიეშველებინათ. მართლაც ასე მოიქცნენ. ორივე ბრიგადა ერთობლივად შეუდგა ქვაბების შეკეთებას და გეგმა თავის დროზე შესრულდა. პარტჯგუფი სისტემატურად განიხილავს საწარმოო და პარტიული მუშაობის საკითხებს, აქტიურად იბრძვის ზემდგომი პარტიული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დროზე ამჩნევს მუშაობის ვიწრო ადგილს და იღებს ზომებს მისი აღმოფხვრისათვის. ამ უკანასკნელ დროს საამქროში მრავალი ახალგაზრდა მოვიდა. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ არ არის შეჩვეული საწარმოში მუშაობას, იჩენს უდისციპლინობას, ზოგჯერ თვითნებურად ტოვებს სამუშაოს. პარტიული ჯგუფი მათთან სისტემატურ აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა, მოთმინებით განუმარტავს საამქროს, მთელი ქარხნის წინაშე მდგომ ამოცანებს, ზრუნავს იმისათვის, რომ ჩაუნერგოს ახალგაზრდა მუშებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა პარტიული ჯგუფი ასე როდი მუშაობს ახალგაზრდებთან. საზეინკლო განყოფილების პარტჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა ა. დოშოიანმა, ნ. სევასტიანოვმა და სხვებმა მწვავედ გააკრიტიკეს პარტჯგუფორგი მ. სულუაშვილი იმის გამო, რომ იგი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალგაზრდა ზეინკლებთან, კონტროლს არ უწევს და არ წარმართავს აგიტატორის საქმიანობას.

ქარხნის ბევრ პარტიულ ჯგუფში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტთა აქტივობის ნიშნით ჩაიარა პარტჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა. კომუნისტებმა მთელი პირდაპირობით ამხილეს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ყურადღება გაამახვილეს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები ქარხნის პარტიულ ჯგუფებში დასასრულს უახლოვდება. ამოცანა ის არის, რომ ანგარიშგება-არჩევნები ჩავატაროთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, პარტჯგუფორგებად ავირჩიოთ მოწინავე, ინიციატივიანი, შრომაში მაგალითის მიმცემი კომუნისტები. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტთა ორგანიზებულობა და აქტივობა პარტჯგუფის ძალაა.

მ. ვარდოსანიძე.

სოციალისტური მიწათმოქმედების მიღწევათა დემონსტრაცია

გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

კვირას, 31 ოქტომბერს, გურჯაანი საზეიმოდ იყო მორთული. მახლობელი სოფლების კოლმეურნეობათა კანტორებსა, საწარმო-დაწესებულებებსა და ქუჩებში გამოკრული ლოზუნგები მშრომელებს მოუწოდებდნენ გამოფენისაკენ, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისაკენ. დილაადრიან ხალხით სავსე ავტომანქანები რაიონის ცენტრისაკენ დაიძრნენ. დილის 10 საათისათვის ქალაქი გურჯაანი ხალხით აივსო.

დღის 12 საათია. რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზ. ნიბლაძე მიტინგის მონაწილეებს მოკლედ აცნობს რაიონის მიღწევებს და გამოფენაზე წარმოდგენილ მაჩვენებლებს. სიტყვებით გამოდიან გურჯაანის მტს-ის უფროსი აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი მ. არჩევნიშვილი, ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი მ. მექვევრიშვილი, სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ძამასაშვილი და სხვები, რომლებიც პირობას იძლევიან კიდევ უფრო გაამრავლონ მიღწევები სოფლის მეურნეობის დარგში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. მჟავანაძეს, რომელიც შეეხო მიმდინარე წელს გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად გაწეულ სერიოზულ მუშაობას. ამხ. მჟავანაძემ მშრომელებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა მოპოვებულ მიღწევათა განმტკიცება, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის მიღწევა.

მიტინგი დამთავრდა. პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ა. დავითაშვილი სჭრის ლენტს და იწვევს დამსწრეთ პავილიონების დასათვალიერებლად.

გამოფენის 24 პავილიონში ფართოდ არის წარმოდგენილი რაიონის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგი. მთავარი პავილიონის ერთი სტენდი მევენახეობის მიღწევებზე მოგვითხრობს. 1950 წელთან შედარებით მიმდინარე წელს ყურძნის მოსავლიანობა რაიონში 62 პროცენტით გადიდდა. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 90 ცენტნერი ყურძენი. ხორბლის მოსავლიანობა რაიონში 1950 წელთან შედარებით 1953 წელს 66 პროცენტით გაიზარდა. რაიონის ყველა კოლმეურნეობა მილიონერია. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ფულადმა შემოსავალმა გასულ წელს 3,5 მილიონ მანეთს გადაამეტა.

გურჯაანის რაიონი მთლიანი ელექტროფიკაციის რაიონია.

გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონის წინ დარგულია სხვადასხვა ჯიშის ხურმის ხეები. თვითეულ მათგანს 300-მდე ნაყოფი ასხია. პავილიონში მთავარი ადგილი მევენახეობას უკავია. სტენდზე გაკეთებულია წარწერა:

„არ მოაკლოთ მზრუნველობა,
გაუფრთხილდით მუდამ ვაზებს,
ვაზი თვითონ ლამაზია,
კოლექტივსაც ალამაზებს“.

დიახ, ვაზი ნამდვილად ალამაზებს კოლმეურნეობას. აქ წელს 55 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 122 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, გეგმა კი 55 ცენტნერს ითვალისწინებდა. მერგოლურმა გ. ოდიშელიძემ საშუალოდ ჰექტარზე 180 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, გ. უტიაშვილმა — 160 ცენტნერი.

ლამაზი და მიმზიდველია გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი. აქ წარმოდგენილი ექსპონატები ყველა დარგის აღმავლობაზე მეტყველებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკვები ჭარხალი, გოგრა და საზამთრო. თვითეული ცალი ჭარხალი 15-17 კილოგრამს იწონის. წელს 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს, მაშინ როცა გეგმა 160 ცენტნერს ითვალისწინებდა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა 217 ცენტნერი გოგრა, 400 ცენტნერი საზამთრო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ გურჯაანელებმა გააძლიერეს ზრუნვა მებოსტნეობაზე და შრომაც დაუფასდათ. პამიდორის, კიტრის, კომბოსტოს, საზამთროსა და სხვა კულტურების მოსავლიანობის დავალება ორმაგად შეასრულეს. მებოსტნეობა-მებაღეობიდან წელს 900 ათას მანეთამდე შემოსავალი მიიღეს.

ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონის შესასვლელთან დადგმულ ქვევრებში წითელი და თეთრი ჯიშის ალვანელი ყურძენი. ალვანელ ბოლოდ მოგვითხრობენ წარჩინებული მევენახეების გ. კუტიბაშვილის, თ. მაისურაძის და სხვათა მუშაობის გამოცდილებაზე. მათ წელს ყურძნის მოსავლიანობის დავალება 250 პროცენტით შეასრულეს.

ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ვაზის პლანტაციები 251 ჰექტარს აღემატება. 18 ჰექტარზე გაშენებული აქვთ ფილოქსერისგამძლე ვაზის სადედე. ვაზისუბნელები საძირე მასალით გურჯაანის გარდა სხვა რაიონების კოლმეურნეობებსაც ამარაგებენ. წელს სადედიდან მიღებულმა შემოსავალმა 715 ათას მანეთს გადაამეტა.

ფართოდ არის წარმოდგენილი გამოფენაზე კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. 450 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აქ 19,5 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ვ. ნანობაშვილის ბრიგადამ პურის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 22 ცენტნერამდე გაადიდა. კარდანახელებმა პურისაგან განთავისუფლებულ 72 ჰექტარზე სიმინდი დათესეს. სიმინდის მოსავალი კარგია — თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერს იღებენ.

შრომის, შაშიანის, ბაკურციხისა და სხვა კოლმეურნეობების პავილიონებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი პირუტყვის საკვებისათვის ზრუნვას. შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე ათასი ცენტნერი საკვები საზამთრო მიიღო, ბაკურციხის კოლმეურნეობამ — 792 ცენტნერი და ა. შ.

სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხანათა სამმართველოს პავილიონში უხვად აწყვია სხვადასხვა ჯიშის საუკეთესო ხარისხის ყურძენი, ღვინის ნიმუშები და სხვ. დიაგრამები გვაუწყებენ, რომ ყურძნის მიღება-გადამუშავება რაიონში 1950 წელთან შედარებით ორჯერ გადიდდა.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები მეცხოველეობაზე ზრუნვას აძლიერებენ. მუეუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებამ“ წელს თვითეულ საფურაჟე ძროხიდან გეგმით გათვალისწინებული 850 ლიტრის ნაცვლად 1.230 ლიტრი რძე მიიღო. გამოფენაზე წარმოდგენილია ჯიშიანი ძროხა „ბორიტა“, რომელმაც წელს 4.310 ლიტრი რძე მოიწველა. ძროხა „ციანასაგან“ მიღებულია 3.420 ლიტრი რძე.

გამოფენაზე დიდძალი მნახველი მიიზიდა გურჯაანისა და ველისციხის მტსების მიერ წარმოდგენილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ. ინჟინერ-მექანიკოსები მნახველებს მოუთხრობენ კომბაინების, ტრაქტორების, სათესი, ჩითილსარგავი, თივის დამზვინავი და სხვა მანქანების მუშაობის შესახებ.

რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა პირველ დღეს ათი ათასმა კაცმა დაათვალიერა. მათ შორის ბევრი იყვნენ მეზობელი რაიონების — ყვარლის, თელავის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის რაიონების მშრომელები.

გამოფენა გადაღებულ იქნა კინოაფსკზე.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი.



გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პავილიონი. ფოტო მ. თელიაშვილისა.

დიდი ოქტომბერი და მასების რევოლუციური შემოქმედება

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით აღნიშნავს თავისი სოციალისტური სახელმწიფოს — ისტორიაში პირველი მშრომელთა სახელმწიფოს დაბადების ყოველ ახალ წლისთავს. საბჭოთა ადამიანები სიამაყით ავლებენ თვალს იმ გზას, რომელიც მათ განვლეს კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, — გმირული ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვან გზას.

ეს არის შემოქმედთა სიხარული და სიამაყე, რომლებაც თავიანთი შრომით, თავიანთი ენერგიით განახორციელეს ყოველივე, რაც დღეს შეადგენს კომუნიზმის გაძარჯვებისაკენ მიმავალი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მჩქეფარე და სისხლსავსე ცხოვრებას.

* * *

საბჭოთა ეპოქის ოცდაჩვიდმეტმა წელიწადმა მთელი სიცხადით დაადასტურა იმ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევობა და სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც შექმნა ხალხის მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ კომუნისტების პარტიის ხელმძღვანელობით. ამ წლებმა დამაჯერებლად და ცხადად გვიჩვენა, რომ მხოლოდ ის პარტია, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით, ღირსია იყოს და მართლაც არის საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის ბელადი და მასწავლებელი.

ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და ჯგუფი, სოციალიზმის ალაში ამოფარებული, იჩენებდა მასებისადმი ხელმძღვანელობას, ცდილობდა სათავეში ჩასდგომოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ყველა ეს პარტია, გარდა კომუნისტების პარტიისა, რომელიც ლენინმა შექმნა, სიტყვით ფიცულობდა თავის ერთგულებას ხალხისადმი, საქმით კი ხალხის ინტერესებისათვის უცხო პოლიტიკას ახორციელებდა. ისინი არ ცნობდნენ ხალხის მასებში აქტიურ ძალას, რომელსაც უნარი შესწევდა გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, წინ წაეწია იგი.

მშრომელი ხალხის ოდინდელმა სიბრძნემ, მახვილმა პოლიტიკურმა ალღომ უკარნახა ხალხს იმის საჭიროება, რომ უარეყო ამ პარტიებისა და ჯგუფების პრეტენზიები, ებრძოლნა მათ წინააღმდეგ, არაფერში არ ნდობოდა მათ.

ლენინის სიდიადე უწინარეს ყოვლისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მშრომელ ხალხში ხედავდა ისტორიის ნამდვილ შემოქმედს, საზოგადოების მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მატარებელს. ლენინს უსაზღვროდ სჯეროდა, რომ პროლეტარიატს უნარი შესწევდა დაუფლებოდა მეცნიერული სოციალიზმის იდეებს და შეექმნა თავისი პარტია, პროლეტარული, მარქსისტული პარტია. ლენინი გვასწავლიდა, რომ ასეთ პარტიას, რომელიც სათავეში უდგას ხალხს, ხალხთან ერთად არის და მუდამ შეიესება ხალხის ყველაზე შეგნებული და აქტიური წარმომადგენლებით, უნარი შესწევს სათავეში ჩაუდგეს საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში და რევოლუციური გზით გარდაქმნას იგი მშრომელთა ინტერესებისათვის.

რუსეთის მუშათა კლასმა გონებითა და გულით მიიღო ლენინის იდეები. რუსეთის პროლეტარიატის საუკეთესო წარჩინებულებმა გაერთიანდნენ ლენინისა და მისი თანამებრძოლების — რევოლუციური მარქსისტების გარშემო კომუნისტთა მებრძოლი პარტიის რიგებში. მშობლიური ხალხისათვის სიამაყით ვლადიმერ ილიას-ძე წერდა, რომ რუსეთის მშრომელთა თავდადებული განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც დაიწყეს რადიშჩევმა, დეკაბრისტებმა, რაზნოჩინეცმა რევოლუციონერებმა, ბრწყინვალედ დაგვირგვინა დიდი გმირობით რუსეთის მუშათა კლასმა, რომელმაც შექმნა „მასების ძლიერი რევოლუციური პარტია“ (თხზ., ტ 21, გვ. 111).

ეს იყო ხალხის რევოლუციური შემოქმედების ყველაზე მკაფიო გამოვლინება. იქ პარტიის მსგავსი პარტია, რომელიც შექმნა ლენინის მიერ შთაგონებულმა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა, ისტორიას არ ახსოვდა. იწრთობოდა რა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში ანტიმარქსისტულ, ოპორტუნისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში. აყალიბებდა რა თავის მოწინავე იდეოლოგიას, იმუშავებდა რა თავის ძლევამოსილ სტრატეგიასა და ტაქტიკას, კომუნისტურ პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავდა რუსეთის ხალხები იერიშზე ცარიზმის წინააღმდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

კომუნისტების პარტიამ პირველი ნაბიჯებიდანვე მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდო ხალხის ინიციატივისა და მასების რევოლუციური თვითმოქმედების ფართოდ გაშლის ამოცანა. მშრომელთა რევოლუციური გამოცდილების საფუძველზე პარტია ამდიდრებდა და ავითარებდა მარქსისტულ თეორიას, გაბედულად ცვლიდა მის მოძველებულ დასკვნებსა და დებულებებს ახალი დასკვნებითა და დებულებებით, რომლებიც შეეფერებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალ პირობებს. სწორედ იმიტომ, რომ პარტია სწავლობდა მასების რევოლუციურ გამოცდილებას და ეყრდნობოდა მას, ძველი სამყაროს იერიში, რომელიც ღირსსახსოვარ ცხრაასხუთ წელს დაიწყო და ცხრაასჩვიდმეტი წლის თებერვლის დღეებში გაგრძელდა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენს სამშობლოში ახალი ცხოვრების განთიადი ამობრწყინდა, და ამ განთიადის შექმა სამყაროს ამცნო, რომ დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი ერა.

* * *

დიდმა ოქტომბერმა ამხილა და სამუდამოდ დაასამარა ბურჟუაზიისა და მის წინაშე მუცელზე მხოხავი ოპორტუნისტული პარტიების ყმაურდული შეხედულებანი. თითქოს მშრომელებს მხოლოდ ნგრევა შეუძლიათ და უნარი არ შესწევთ აშენონ ახალი საზოგადოება. რევოლუციური ხალხი, რომელმაც მოსპო მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება, მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც ახლის შემოქმედი და მშენებელი. ხალხის ამ თვისებამ თავი იჩინა უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს საკითხის, — როგორც ლენინი აღნიშნავდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე რთული და ძნელი საკითხის გადაჭრაში, რომელზეც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია რევოლუციის ბედი. ხალხის მიერ შექმნილი ახალი სახელმწიფო წყობილების ურყევი ძლიერებით დღეს ძლიერი და უძლეველია ჩვენი საბჭოთა სამშობლო.

ჯერ კიდევ 1905 წელს მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ახალი, რევოლუციური ფორმის ჩანასახი გახდნენ. კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა გადაჭრით დაუჭირეს მხარი ხალხის ამ ინიციატივას, დაეხმარნენ მას იმაში, რომ საბოლოოდ ჩაწოყალიბებულიყო და ცხოვრებაში დამკვიდრებულიყო.

რუსეთის პირველი და მეორე რევოლუციის დღეებში საბჭოების წარმოშობის ისტორიული მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდი იყო იმიტომ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმად ყველა ქვეყნის მარქსისტებს თვით 1917 წლის თებერვლამდე პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნდათ. შემოქმედებითი მარქსიზმის კორიფე ვ. ი. ლენინი, რომელმაც ღრმად შეისწავლა ხალხის მასების შემოქმედება ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნის დარგში, პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმაა საბჭოების რესპუბლიკა და არა პარლამენტური რესპუბლიკა.

საბჭოების სახით ლენინმა აღმოაჩინა სახელმწიფოს ახალი ტიპი, დემოკრატიის ახალი, უმაღლესი ტიპი, ბურჟუაზიიდან ბურჟუაზიიდან წინააღმდეგ სახელმწიფოს სახალხო მმართველობის წესი. მას შემდეგ, რაც ხალხის რევოლუციურმა შემოქმედებამ საბჭოები შექმნა, აღნიშნავდა ლენინი, პარლამენტური რესპუბლიკისაკენ დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. იგი ამბობდა, რომ დემოკრატია მხოლოდ საბჭოების დროს მოემსახურება მშრომელებს და ალარ იქნება დემოკრატია მდიდრებისათვის, როგორიც იყო და ახლაც არის დემოკრატია ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

ოქტომბრის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში დაამკვიდრა საბჭოების ხელისუფლება როგორც მშრომელი ხალხის ერთადერთი, განუყოფელი ძალაუფლება, რომელიც ეშრომელმა ხალხმა შექმნა და რომელსაც მშრომელი ხალხი ახორციელებს. ეს იყო ხალხის რევოლუციური თაოსნობის დიადი გამარჯვება, იმის უცილობელი დადასტურება, რომ ხალხის მასებს უნარი შესწევთ ისეთივე წარმატებით აშენონ ახალი, როგორითაც ანგრევდნენ ძველს. და ეს იყო საბჭოთა სამშობლოს სწრაფი აყვავების საწინდარი.

„ნუ გეშინიათ მასების ინიციატივისა და დამოუკიდებლობისა, — წერდა ვლადიმერ ილიას-ძე, — ენდეთ მასების რევოლუციურ ორგანიზაციებს — და თქვენ დაინახავთ სახელმწიფოებრივი ცხოვრების **ყველა** დარგში მუშათა და გლეხთა... ძალას, სიდიადეს, უძლეველობას...“ (თხზ., ტ. 25, გვ. 452).

ხალხის მასების რევოლუციური ინიციატივითა და თვითმოქმედებით შობილმა საბჭოთა სახელმწიფომ დაამტკიცა თავისი უძლეველი სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც შეამოწმა მშვიდობიანი მშენებლობის წლებმა და ომიანობის დროის მკაცრმა განსაცდელმა.

საბჭოთა ხელისუფლების ძალა იმაშია, რომ მის სულს, ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს სახელოვანი კომუნისტური პარტია — თანამოაზრე კომუნისტთა მებრძოლი კავშირი, რომელიც ორგანიზებულია მუშათა კლასის ადამიანებისაგან, მშრომელი ეგლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან. პარტიის პოლიტიკა, რომელიც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების სწორ, მეცნიერულ გაგებას ემყარება და ხალხის უფართოესი მასების ძირეულ ინტერესებსა და საჭიროებებს გამოხატავს, შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს. კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კონკრეტული გამოხატულებაა ლენინიზმისა, რომელიც განასახიერებს ხალხის მასების რევოლუციურ შემოქმედებითს სწრაფვას, რუსულ რევოლუციურ გაქანებას, ი. ბ. სტალინის გამოთქმით იმ მაცოცხლებელ ძალას, რომელიც აღვიძებს აზრს, წინ მიჰყავს იგი, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას.

ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ლიკვიდაცია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა, სოციალისტური საზოგადოების აშენება — ეს არის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მოქმედებაში. განუხრელად ასრულებდა რა პარტიის პოლიტიკას, უზრუნველყოფდა რა ხალხისათვის სახელმწიფოს მართვაში უშუალო და გადამწყვეტი მონაწილეობის რეალურ შესაძლებლობას, საბჭოთა ხელისუფლებამ დარაზმა და სამშობლოს სამსახურში ჩააყენა ხალხის მასების წიაღში არსებული მატერიალური და სულიერი ენერგიის ულეველი მარაგი. ამჟამად ეს ენერგია ჰკვებავს მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომ ზრდას, მკვეთრი აღმავლობის გზით მიჰყავს სოციალისტური სოფლის მეურნეობა, უზრუნველყოფს მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური კულტურის ახალ აყვავებას.

საბჭოთა წყობილებამ, კომუნისტური პარტიის პოლიტიკამ შეადუღაბა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, სამუდამოდ შეაკავშირა ძმობითა და მეგობრობით ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ხალხი.

ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა: „რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ საბჭოები არ შეექმნა, პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა...“ (თხზ., ტ. 26, გვ. 107).

ჩვენი სამშობლოს ფასდაუდებელი ბედნიერება იმაშია, რომ ხალხის მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექმნა და დაამკვიდრა საბჭოების ხელისუფლება. და ყოველივე ის, რასაც მიაღწია მსოფლიოში პირველმა მშრომელთა სახელმწიფომ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა განვლილ ოცდაჩვიდმეტ წელიწადში, — ეს არის ტრიუმფი მასების რევოლუციური შემოქმედებისა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აღაფრთოვანებს და წარმართავს. საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს ხალხისათვის იმის შესაძლებლობას, რომ მიაღწიოს შემდგომ აყვავებას, მოგოსლიერ

გაზეთების ფურცლებზე

დიადი თარიღის შესახვედრად

რესპუბლიკაში დღითიდღე ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. საქართველოს მშრომელები წარმატებით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ახალი საწარმოო საჩუქრებით ეგებებიან სახელოვან თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. საბჭოთა ადამიანების მიერ საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებულ წარმატებებზე ფართოდ მოგვითხრობენ ამ დღეებში რესპუბლიკის სოფლმა, საქალაქო და რაიონული გაზეთები.

სოფლის მშრომელთა საოქტომბრო საჩუქრები

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, წერს სოფლის გაზეთი **„საბჭოთა აჭარა“**, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის დღესასწაულისათვის წარმატებით ემზადებიან აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ავტონომიური რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის დავალება. 14 ათასამდე ზონარმეტრი თამბაქო შეტეხეს და გეგმას 9,5 პროცენტით გადააჭარბეს მაღალმთიანი რაიონების კოლმეურნეობებმა. ხულოსა და შუახევის რაიონებმა 25 ოქტომბრისათვის დაამთავრეს კარტოფილის ამოღება. დასასრულს უახლოვდება სიმინდის ტეხა და ყურძნის კრეფა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებების პასუხად აჭარის კოლმეურნეებმა, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მაღალმთიანი რაიონების ბოჭონავე კოლმეურნეობები ენერგიულად იბრძვიან, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულონ თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში გაჩაღებულია სუბტროპიკული ხურმის დამზადება. მალე მსმობრივად გაჩაღდება ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა.

მაღაროელთა შრომითი საქმეები

ინდუსტრიული ტყვარჩელის მეშახტეების, მშენებლების, ენერგეტიკოსების მიერ საოქტომბრო შეჯიბრებაში მოპოვებულ შრომითს წარმატებებზე ნომრიდან ნომერში მოუთხრობს მკითხველს საქალაქო გაზეთი **„ტყვარჩელის მაღაროელი“**.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ყველაზე უკეთეს წარმატებებს მიაღწია ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეოთხე შახტის კოლექტივმა, რომელმაც ჯერ კიდევ ოქტომბრის პირველ რიცხვებში შეასრულა ქვანახშირის ამოღების 10 თვის გეგმა. შახტის კოლექტივი წარმატებით იბრძვის თავისი ხუთწლიანი გეგმის მიმდინარე წელს შესრულებისათვის. ვადამდე 19 დღით ადრე შეასრულა ათი თვის საწარმოო დავალება მესამე შახტმაც, რომლის კოლექტივმა წელს გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ქვანახშირი მოანგრია.

ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებება დიად დღესასწაულს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის გეგმა 9 თვეში შეასრულა. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 2.250-მდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მშენებლებმა განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს მესამე კვარტალში. ზემო ხელვაჩაურაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი, აიგო სადისპეტჩეროს შენობა. ოთხსართულიანი კაპიტალური სახლი აშენდა აკარმარაში. აქვე ტყვარჩელელი მშენებლები აგებენ ორ ოთხსართულიან სახლს. ახალი სახლები შენდება მეხუთე შახტის ტერიტორიაზეც.

ახალი შრომითი საქმეებით აღნიშნავენ წინასაოქტომბრო დღეებს აგრეთვე ტყვარჩელელი ენერგეტიკოსები, ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატის, ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს, სატვირთო-სატრანსპორტო სამმართველოს კოლექტივები.

მექანიზატორების სიტყვა და საქმე

როდესაც წითელწყაროს რაიონის გამარჯვების მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები საოქტომბრო შეჯიბრებაში ებმებოდნენ, პირობა დადეს, რომ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულებდნენ საშემოდგომო თესვის გეგმას.

როგორც რაიონული გაზეთი **„ახალი შირაქი“** იუწყება, მტს-ის მექანიზატორებმა სიტყვა საქმედ აქციეს, მათ გეგმით გათვალისწინებული 7.350 ჰექტარის ნაცვლად უკვე დათესეს 7.550 ჰექტარი ხორბალი. მთელი ფართობის 80 პროცენტი დათესილია ჯვარედინად. მტს-ის მექანიზატორები შეუდგნენ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტს. მექანიზატორი ალ. ტუხაშვილი ამთავრებს „სტალინეც-4“ მარკის კომბაინის, ხოლო ტრაქტორისტები გ. ხიზანიშვილი და ა. ჩიკვაიძე „კდ-35“ მარკის ტრაქტორების რემონტს.

საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა საშემოდგომო თესვა წითელის მტს-მაც. 20 ოქტომბრისათვის გეგმით რიგარაუდევი 7.750 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 8.452 ჰექტარი და დათესილი 7.770 ჰექტარი, აქედან 6.826 ჰექტარი ჯვარედინი წესით.

ოზნი. რაიონული კულტურის სახლის შენობა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

10 ათასი ტურისტი სეზონში

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის მახლობლად, შუბანე კონცხზე, საბტროპიკული ტყით დაფარულ ზღვისპირა გორაკზე მოთავსებულია ტურისტთა ბაზა.

თავისი სილამაზით და შესანიშნავი პლაჟით გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ეს ბაზა ყოველწლიურად ათასობით ტურისტს იზიდავს ჩვენი თვალწარეული სამშობლოს ყველა კუთხიდან.

მარტო მიმდინარე სეზონში დღემდე ტურისტთა ბაზამ გაატარა 8 ათასი კაცი, ხოლო სეზონის ბოლომდე, 15 ნოემბრამდე, კიდევ მიიღებს 2 ათას ტურისტს.

ტურისტები აქ მოდიან სხვადასხვა მარშრუტების საგზურებით. ერთ მარშრუტში შედის ოსეთის გზა ბათუმამდე, მეორე გაივლის ყაზბეგზე, ფასანაურზე, მცხეთაზე, თბილისზე, გორზე და გათავდება შუბანე კონცხზე. ეს მარშრუტი გაიარა 2.500-ზე მეტმა ტურისტმა.

მესამე მარშრუტი გაივლის იმ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან ამიერკავკასიაში.

შემოღებულია ახალი მარშრუტი, რომლის მონაწილენი ბათუმში 10 დღეს რჩებიან, ხოლო შემდეგ გემით მიემგზავრებიან სოხუმში.

არიან აგრეთვე უსაგზურო ტურისტები. ისინი მოდიან საკუთარი ავტომანქანებით, აქვთ თავიანთი კარვები და სხვა მოწყობილობა. ტურისტთა ბაზა მათ ყოველნაირად ეხმარება. ამ წესით ბაზაში მოვიდა 2.000-მდე კაცი.

ტურისტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ბოტანიკურ ბაღს, ხასლობელ კოლმეურნეობებს და მსგავლ საბჭოთა მეურნეობებს, სარგებლობენ ხეზვისპირა პლაჟით.

ბათუმში ტურისტული სეზონი გრძელდება.

ახალი წიგნები

ს. გერსამია — **„შალვა დადიანი“** (ბიოგრაფია), გამომცემლობა „ხელოვნება“. ტირაჟი 2.000, გვ. 34, ფასი 2 მან.

ე. ზედგინიძე — **„ზღვის ამოსვლამდე“**, რომანი, თბილისი, 1954 წ. სახელგამი, რედაქტორი პ. ბეგია, მხატვარი შ. ბერიტაშვილი. ტირაჟი 10.000, გვ. 282, ფასი 5 მან. 80 კაპ.

ე. ნინოშვილი — **„ჩვენი ქვეყნის რაიონი“**, თბილისი, 1954 წ., „სახელგამი“, რედაქტორი ირ. არაბული, მხატვარი გ. ფოცხიშვილი, ტირაჟი 30.000, გვ. 62, ფასი 70 კაპ.

მარგანეცის ქალაქი ამ დღეებში

ახლოვდება დიადი თარიღი. მალე ოცდაჩვიდმეტი წელი შესრულდება, რაც კრეისერ „ავრორას“ ქვეითების ხმამ მსოფლიოს ამცნო კაცობრიობის ახალი ერის დასაწყისი. მთელი ჩვენი ხალხი ემზადება ამ დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ დღეებში ლაღად სუნთქავს ინდუსტრიული ჭიათურაც. მარგანეცის ქალაქის ცხოვრება სიცხლსავსეა. ლავგსა თუ სანგრევებში, მადნის გამაუხვეველ დანადგარებთან თუ სახარატო ჩარხებთან, საშენებლო ხარაჩოებსა თუ ორთქლმავლებზე, რომლებიც მარგანეცს ეზიდებიან, არ წყდება თავდადებული, შემოქმედებითი შრომა.

ელექტროშუქით გაჩირაღდნებულ მიწის წიაღში გუგუნებენ მარგანეცის მაგარი ქანების სამტრეოვი და სატვირთავი ნანქანები, დაქრიან ელმავლები, სვრცეს სერავენ საჰაერო-სამბაგირო გზები, განუწყეტელ მოძრაობაშია მადნის გამაუხვეველი ფაბრიკების დაზგა-დანადგარები, მაღალხარისხოვანი მარგანეცი რკინიგზის ვაგონებში იტვირთება და ეშელონები შორაპნისაკენ მიემართება. ყველაფერი ეს მაღაროელთა მადლიანი მარჯვენით კეთდება.

შრომითი აღმავლობაა ლენინის სახელობის მაღაროში. ლენინელებმა ჯერ კიდევ მეორე კვარტალის შედეგებით მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. შემთხვევითი რიცხვი იყო, თქმა ამ მაღაროს კოლექტივი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა და ახალი ვალდებულებები იკისრა. ლენინელების სიტყვა და საქმე ერთია. მათ 19 ოქტომბრისათვის შეასრულეს ათი თვის დავალება, 12 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება და წელს 1.500.000 მანეთზე მეტი დაზოგეს. მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც პ. ჩაჩანიძე, ვ. ნეფარიძე, შ. გამეზარდაშვილი, გ. ჩაჩანიძე და სხვები ხელმძღვანელობენ.

საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში წინ მიდიან ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროები. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 15 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ათი თვის გეგმა. დაწინაურდნენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც მ. კენჭოშვილი, ვ. თამბაგარი და ო. სიჭინავა უძღვებიან.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში ახლახან აითვისეს ელექტრომტვირთავი მანქანები და ღია სამუშაოებით მარგანეცის მოპოვება. აქ 21 ოქტომბერს საერკოროდ მაჩვენებელს მიაღწიეს — ღია სამუშაოებიდან მარტო ერთ ცვლაში 500 ტონა მარგანეცი მიიღეს.

მარგანეცის ცენტრალური და პეროქსიდების გამაუხვეველი ფაბრიკების კოლექტივები პირველი ხარისხის მარგანეცისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატები არიან. აქ ტექნიკური პროგრესისათვის შეუნელებლად იბრძვიან ინჟინრები ა. მოდებაძე, ი. კაკაბაძე, შ. რიყამაძე, ა. ნიკოლაძე და სხვები. მათმა გონივრულმა წინადადებებმა ათეულათას მანეთობით დანაზოგი მისცა სამშობლოს. ფაბრიკებში დაიდგა ნაღალი სიხშირის სალექი მანქანები და კლასიფიკატორები, რითაც გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. ამიტომ არის, რომ ფაბრიკები პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ამ დღეებში სადღესასწაულო ვახტზე დგანან ჭიათურის წარჩინებული ადამიანები ტ. ფოფხაძე, კ. კილაძე, შ. სირაძე, გ. თოდაძე, პ. ბერიტაძე, ლ. გაფრინდაშვილი, კ. დავთაძე, ძმები ტრიფონ, აკაკი და პეტრე ჭიღლაძეები, აგრეთვე ათობით მუშა. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. ოთხგზის ორდენოსანმა პ. მიროტაძემ, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ჭიათურის ფილიალის მეოთხე კურსის სტუდენტია, თავდადებულ შრომასთან ერთად 20 ოქტომბერს ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით ჩაატარა გამოცდა ლითონების ტექნოლოგიაში.

ჭიათურაში ლითონის ჩქაროსნული ჭრის ინიციატორი ი. კაპანაძე არაერთი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მან ზეინკალ ე. ვარდოსანიძესთან ერთად დაამზადა საჭრისების სალესი ორიგინალური მოწყობილობა, რომელსაც დღეს თუ ხვალ გამართავს დაზგაზე და შრომის ნაყოფიერება 40 პროცენტით გაიზრდება.

მამაცურად შრომობენ რკინიგზელებიც. 21 ოქტომბერს ჭიათურიდან მძიმე წონის მატარებელი წაიყვანა გამოცდილმა მემანქანემ გ. კვირკველიამ. მან ვადაზე და წესიერად მიიყვანა შემადგენლობა შორაპანდე. მარგანეცით დატვირთული მძიმეწონიანი ეშელონები შეუფერხებლად დაჰყავთ ორთქლმავლის მემანქანეებს პ. პარფენოვს და ო. ესაძეს.

წინასაოქტომბრო დღეებში დამთავრდა საშუალო სკოლის სამსართულიანი საუცხო შენობა, რომელიც ქალაქში ერთ-ერთი ლამაზი არქიტექტურული ნაგებობაა. ეს-ეს არის ხარაჩოები ჩამოეხსნა ოთხსართულიან ახალ შენობას, სადაც დღესასწაულისათვის ჩასახლდებიან ბაღაროელები, ინჟინერ-ტექნიკოსები. ხარაჩოები ეხსნება სამოცდაათმეტიანი საცხოვრებელი სახლის მეორე რიგის მშენებლობას. ხარაჩოებშია მარგანტრესტის ადმინისტრაციული კორპუსის ოთხსართულიანი შენობა. დღესასწაულისათვის რამდენიმე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დამთავრდება მაღაროებშიც, სადაც ქალაქის ტიპის დასახლებული უბნები შეიქმნა.

ამ დღეებში [illegible] ემგზავრა ჩვენი ქვეყნის [illegible] კურორტებ[illegible] [illegible] ლა ადგილ[illegible] [illegible] რორტ კვერეთში ისვენებს. აქვე ისვენებენ მოსკოვიდან და ნიკოპოლიდან ჩამოსული მეგობრები. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლი ქ. გორში, სადაც დაიბადა დიდი სტალინი.

ახლახან მარგანეცის ქალაქში წერილი მოვიდა უკრაინიდან. ნიკოპოლელი ბაღაროელები, რომლებიც ჭიათურელებს ეჯიბრებიან, თავიანთი მუშაობის შედეგებზე იწერებოდნენ. ქართველმა მაღაროელებმა საპასუხო წერილი გაუგზავნეს უკრაინელ მეგობრებს. მაჩვენებლები მეტყველებენ, რომ წინ ჭიათურელი მაღაროელები არიან.

შემოქმედებითს ორგანიზაციებშიც არ ცხრება ხალისიანი, ნრავალფეროვანი შრომა. ახალგაზრდა სპეციალისტთა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ინჟინრებმა ციცვიძემ, კვლიშვილმა, ქოიავამ, იმსჯელეს მექანიზმების გონივრულად გამოყენების, ელექტროენერგიის დაზოგვისა და რენტაბელობის საკითხებზე. მაღაროებში მადნის სატვირთავი მექანიზმების უკეთ გამოყენებისათვის სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ბრიგადა, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ზურაბიშვილი ხელმძღვანელობს.

აკ. წერეთლის სახელობის თეატრში ორ ახალ დადგმას ამზადებენ. საუკეთესო დადგმები თეატრის კოლექტივმა მაღაროელების ნუშათა კლუბებში გაიტანა. ახლახან სპექტაკლი უჩვენეს აგრეთვე საშეფო კოლმეურნეობის — წირქვალის კლუბში. კულტურის სახლში მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ემზადება სიმღერისა და ცეკვის გუნდი, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. სეფუა ხელმძღვანელობს. კინოთეატრში უჩვენებენ ინდური ფილმებს „ავარას“, „ქარიშხალს“. აქვე მაღაროელებმა ინტერესით ნახეს კინოჟურნალი „ჭიათურა“.

ამ დღეებში ბევრი მნახველი ჰყავს სტალინის სახლ-მუზეუმს. აქ ეცნობიან დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან... მაღაროელთა ექსკურსიები მოეწყო აკ. წერეთლის სახლ-მუზეუმში. ბავშვთა ტექნიკურ სახლში მოწყობილია ნიჭიერ ბავშვთა შემოქმედებითი ნიმუშების გამოფენა...

მაღაროელსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში იკითხება ლექციები სამეცნიერო-პოპულარულ თემებზე, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ.

შემოქმედებითი შრომის პათოსით აღსავსე და შინაარსიანია ეს დღეები ქართული მარგანეცის ქალაქში.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კურსები აგურის ჩქაროსნული გამოწვის ოსტატებისათვის

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ თბილისში, სამხურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანასთან, მოაწყო რესპუბლიკური კურსები აგურის ჩქაროსნული გამოწვის ოსტატებისათვის.

კურსებზე სამეცადინოდ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული არიან ადგილობრივი მრეწველობის აგურის ქარხნების ინჟინერ-ტექნიკოსები და ოსტატები, რომლებიც სწავლობენ ღუმელში ნედლი აგურის ჩაწყობისა და ჩქაროსნული გამოწვის გაუმჯობესებული მეთოდით (ნოვატორ პ. დუვანოვის მეთოდი) მუშაობას.

მარგანეცის ...

ეპოვოს ახალი, კიდევ უფრო დიადი გამარჯვებანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

• • •

დღევანდელი დღე მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლით არის დაშორებული დიდი ოქტომბრის გამარჯვების თარიღს. კაპიტალისტური სახელმწიფოების ისტორიაში ასეთი ხანმოკლე პერიოდები რამდენადმე მნიშვნელოვანი წინსვლით არ აღინიშნება ხოლმე, უფრო ხშირად პირიქით ხდება: ეკონომიკა და კულტურა ათეული წლების მანძილზე უძრაობის მდგომარეობაშია, ხოლო ზოგჯერ მათი დეგრადაცია ხდება.

ასე როდია ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ქვეყანაში. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მასებს მშენებლობის, შემოქმედების უმაგალითო წყურვილი გაუღვიძა. სოციალიზმმა გაათავისუფლა შრომელი ადამიანის პიროვნება, უზრუნველყო ინდივიდუალური და კოლექტიური თვითმოქმედების აყვავება, შექმნა პირობები ტალანტებისა და ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისათვის, რომლებითაც ესოდენ უსაზღვროდ მდიდარი არიან ხალხის მასები. კომუნისტური პარტია მზრუნველობით ზრდის ხალხიდან გამოსულ ამ ტალანტებს, უნარიანად წარმართავს მათ. ამიტომ გადადგა ასეთი დიდი ნაბიჯი წინ ოცდაჩვიდმეტი წლის მანძილზე დეგენერირებულ საბჭოთა ხალხმა.

მხოლოდ ხალხის შემოქმედებას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შთაგონებულს, მხოლოდ პარტიის და ხალხის უფართესი მასების ერთიანობას შეეძლო უზრუნველეყო ის ისტორიული ნახტომი, რომელიც თხუთმეტ წელზე ნაკლები ხნის მანძილზე გააკეთა ჩვენმა ქვეყანამ თავის განვითარებაში, — ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ამის მეოხებით აღარ არის ჩამორჩენილი, აგრარული კაპიტალისტური რუსეთი — არის მოწინავე, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფო. მაგრამ ეს ეკონომიკის დონის მარტო გასაოცარი ზრდა როდია. ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში — ერთი თაობის სიცოცხლეზე ნაკლები ხნის მანძილზე! — ჩვენმა სამშობლომ თავი დააღწია ფეოდალურ-კაპიტალისტურ ბორკილებს და ავიდა საზოგადოებრივი განვითარების ახალ, სოციალისტურ საფეხურზე, პრაქტიკულად დაიწყო თავისი ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ეს ჩვენი ხალხის საბჭოთა ეროვნული სიამაყის საგანია. ეს შთამაგონებელი მაგალითია ჩინეთის, ყველა იმ ქვეყნის ხალხებისათვის, რომლებმაც მოიშორეს კაპიტალიზმის უღელი და ახალი ცხოვრების შენებლობაში მასების ფართო შემოქმედების გზას დაადგნენ.

კომუნიზმი, გვასწავლის პარტია, ჩნდება როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების შეგნებული შემოქმედების შედეგი. კომუნისტური მშენებლობის ნათელმა, კონკრეტულმა, შთამაგონებელმა პროგრამამ, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ დადგენილებებში და პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში დაისახა, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის ახალი, უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია. დღითიდღე სულ უფრო ცხადად და ძლევამოსილად იჩენს თავს მასების შემოქმედებითი ძალა, რომელსაც პარტიამ კვლავ ესოდენ მაღალი შეფასება მისცა თავისი XIX ყრილობის რეზოლუციაში: „სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, მუშებია, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის ერთსულოვანი მისწრაფება — დაიცვან მშვიდობის საქმე, მშრომელთა ურყევი გადაწყვეტილება — ააშენონ კომუნისტური საზოგადოება“ (სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი III, გვ. 578).

პირველი კომუნისტური შაბათობების მონაწილეთა მიერ დანთებული ნაპერწკლიდან გაჩაღდა და ახლა კაშკაშებს ალი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებისა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, რომელშიც ლენინი კომუნიზმის გამარჯვების საწინდარს ხედავდა. ამ მოძრაობას, რომელიც მთელი სისრულით გამოხატავს მასების რევოლუციურ შემოქმედებას აღმშენებლობის ფრონტზე, მოჰყვა და კვლავაც მოსდევს უდიდესი შედეგები. უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში გაიზარდა დაახლოებით ექვსჯერ, ხოლო მშენებლობაში და რკინიგზის ტრანსპორტზე — სამნახევარჯერ. შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაახლოებით ერთნახევად აღემატება რევოლუციამდელი სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებას.

ჩვენს არამკითხე უცხოელ „კეთილმოსურნეებს“ რამდენჯერ დაწვრილებით გამოუანგარიშებიათ, თუ რა ვადებში შეძლებდა საბჭოთა ხალხი ამა თუ ამ წამოწყებული საქმის განხორციელებას. ისინი დიდსულოვნად „ნებასაც გვრთავდნენ“ გვემუშავა ყველაზე მაღალი ტემპით, რომელიც შესაძლებელი კაპიტალიზმის პირობებში... მაგრამ ამ გამოანგარიშებასა და ვარაუდებში ისინი არ ითვალისწინებდნენ კაპიტალისტურ სინამდვილეში არარსებულ „კოეფიციენტს“ — მასების შემოქმედებითს ენერგიას, რომელიც ასე ძლავრად აზვირთდა ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. ამიტომაც ჩვენ მიერ დასახული ვადები, რომლებიც უცხოელ „კეთილმოსურნეებს“ არარეალური, განუხორციელებელი ეგონათ, ცხოვრებაში კიდევ უფრო მცირდებოდა.

ახლა ავიღოთ უმსხვილესი სამრეწველო ობიექტების აგების, ახალი რკინიგზების გაყვანის, სანაოსნო და სარწყავი არხების მშენებლობის ვადები. ბოლოს, ჩვენ მიერ ატომის ენერგიის შესაძლო ათვისების ვადების „სავსებით ზუსტი“ გაანგარიშებანი, რომლებიც იმავე „კეთილმოსურნეებმა“ გააკეთეს. ნაქები „სიზუსტე“ გაკამტვერდა, მან ვერ გაუძლო შედარებას საბჭოთა სინამდვილესთან, რომელსაც ხალხის ინიციატივის ძალა ამოძრავებს: ჩვენმა სამშობლომ პირველმა პრაქტიკულად გამოიყენა ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნებით.

საბჭოთა ქვეყნის ცხოვრება, როგორც ძვირფასი ალმასი თავისი წახნაგებით, ბრწყინავს მშრომელთა ინიციატივის საოცრად მკაფიო გამოვლინებით მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მრეწველობაში კვლავ იზრდება რიგები წარმოების ნოვატორებისა, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორებისა, რომლებიც მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეებთან თანამეგობრობით პოულობენ და იყენებენ სოციალისტური ეკონომიკის ახალ და ახალ რეზერვებს. ამ ცოტა ხნის წინათ პრესა იუწყებოდა კიევის ქარხანა „წითელი ექსკავატორის“ ნოვატორი ხარატის ვიტალი სემინსკის შესანიშნავი შემოქმედებითი ინიციატივის შესახებ. მან შექმნა ორმოცდაათზე მეტი ინსტრუმენტი და სამარჯვი, რომელიც მცირე როლს როდი ასრულებენ ლითონების ჩქაროსნული და ძალოვანი ჭრის განვითარებაში. ვიტალი სემინსკის თაოსნობამ ქარხანას უკანასკნელი წლების განმავლობაში 300 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა. რამდენი სახელოვანი ნოვატორი ჩრომობს ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებშიც!

საბჭოთა მშრომელი ადამიანი ახლა განთქმულია არა მარტო იმით, რომ ამაღლდა მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლების გაგებამდე და ისწავლა მათი გამოყენება თავის მუშაობაში. ჩვენი ცხოვრება მდიდარია მაგალითებით, რომლებიც მოწმობენ, რომ მუშები და კოლმეურნეები თვითონ ბევრს აძლევენ მეცნიერებასა და ტექნიკას, ეხმარებიან რა მეცნიერებსა და ინჟინრებს რთული პრობლემების გადაჭრაში.

ერთ-ერთი ასეთი უაღრესად მკაფიო მაგალითია გამოჩენილი კოლმეურნე მეცნიერის ტერენტი სიმონის-ძე ალიევის მოღვაწეობა. მის მიერ წამოყენებული და პრაქტიკაში დანერგილი ახალი სისტემა ნიადაგის დამუშავებისა ამსხვრევს აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ ძველ შეხედულებებს და სახავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის განუწყვეტელი გადიდების პერსპექტივებს. განსაკუთრებული ყურადღება, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კოლმეურნე მეცნიერის მოღვაწეობისადმი გამოიჩინა, კვლავ მოწმობს, რომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად ახორციელებენ დიდი ლენინის ანდერძს, რომელიც კომუნიზმის გამარჯვების საწინდარს ხედავდა იმის უნარში, რომ მივდიოთ ცხოვრებას, თავისუფლება მივცეთ ხალხის მასების შემოქმედებას, გვქონდეს ხალხისადმი რწმენა და ძალებს ვიღებდეთ ცოცხალი ხალხური შემოქმედების წყაროდან.

ხალხისადმი, მისი შემოქმედებითი ძალებისადმი ლენინური რწმენით გამსჭვალულია საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობა. ეს საშუალებას აძლევს პარტიასა და მთავრობას ყველა დარგში დააყენონ და გადაწყვიტონ სულ უფრო გრანდიოზული ამოცანები. ამჟამად წარმატებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის ბრძოლის გიგანტური პროგრამა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა. თითქოს არ არსებობდა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა საზოგადოების სარგებლობისათვის გაეღვიძებინა მატერიალური დოვლათის ეს საუკუნეობით გამოუყენებელი რეზერვები, სამი წლის განმავლობაში გაეტეხა და აეთვისებინა ოცდაათ მილიონამდე ჰექტარი ყამირი მიწები. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის მაგალითები, რომლებსაც შეეძლოთ გაუტოლდნენ ამ უაღრესად გაბედულ გეგმას. საბჭოთა ქვეყანაში ასეთი ძალა აღმოჩნდა. ყამირის ასათვისებლად პარტიამ დაარაზმა ხალხის მასების ენერგია, და ხალხმა პარტიის მოწოდებას თავისი შემოქმედებითი ინიციატივის ახალი გამოვლინებით უპასუხა.

არ შეიძლება საგულისხმოდ არ მივიჩნიოთ ის, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს წინ უძღოდა საკოლმეურნეო წყობილების მიღწევათა საზეიმო დათვალიერება — სრულიად საკავშირო საოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში. გამოფენის პავილიონებში, სტენდებზე კონცენტრირებული სახით წარმოგვიდგა სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატთა შემოქმედებითი შრომის შესანიშნავი შედეგები, რომლებიც ყველაზე კარგად ახასიათებს ახალი, საბჭოთა სოფლის ადამიანის სახეს, ადამიანისა, რომელიც პასიურად კი არ ელის მოწყალებას ბუნებისაგან, არამედ მტკიცედ ართმევს ყველაფერს, რის მოცემაც მას შეუძლია.

ხალხი ისტორიის შემოქმედია, ყოველივე იმის შემქმნელია, რაც კი დედამიწაზე არსებობს. არ არის ხალხის გონებაზე ჩათელი გონება, არ არის ხალხის სიბრძნეზე მეტი სიბრძნე. ლენინური პრინციპი: გულისხმიერად ვუგდებდეთ ყურს მასების ხმას, ყოველთვის და ყველაფერში ვეკითხებოდეთ რჩევას მასებს, ხალხის გამოცდილებით, ცოდნით ვამოწმებდეთ ყოველ წამოწყებას, ყოველ ჩვენს ნაბიჯს — ეს პრინციპი უდევს საფუძვლად კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას. ვ. ი. ლენინის და მისი საქმის დიდი განგრძობის ი. ბ. სტალინის ანდერძის თანახმად პარტია ფართოდ აჩაღებს თვითკრიტიკას და ქვემოდან კრიტიკას, რომელშიც იგი ხედავს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოხატვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განმტკიცებისათვის მათი ზრუნვის გამოხატვის მნიშვნელოვან საშუალებას. „რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, — ამბობდა გ. მ. მალენკოვი სკკპ XIX ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, — მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება მასებში ის გრძნობა, რომ ისინი თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან“.

პარტიის მთელი აღმზრდელობითი მუშაობა მიმართულია მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების შემდგომი გაშლისაკენ იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე განხორციელდეს კომუნისტური მშენებლობის პროგრამა. პარტია საბჭოთა ხალხის ინიციატივასა და შემოქმედებითს თაოსნობას, ენერგიასა და ნებისყოფას რაზმავს დიადი საერთო-სახალხო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის — სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის ახალი, მკვ

ედუარდ ერიოს დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისადმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფის მისალოცი დეპეშის პასუხად, რომელიც ე. ერიოს გაეგზავნა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით, მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს ბატონ დეპუტატებს

ა. ვოლკოვს — კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს
ვ. ლაცისს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს
მ. სუსლოვს — კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს
დ. შეპილოვს — ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს
მ. იასნოვს — მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს
ა. ნესმეიანოვს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს
დ. სკობელცინს
ი. ერენბურგს
ნ. ტიხონოვს

მ ო ს კ ო ვ ი

მადლობას გიძღვნით თქვენი გულთბილი დეპეშისათვის, რომელმაც ძვირფასი მოგონებები აღმიძრა. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მძიმე დროს დამემყარებინა ჩვენს შორის დიპლომატიური ურთიერთობა. მე ვფიქრობდი, რომ არ შეიძლება დაუსჯელად წაშალო რუკაზე ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც თქვენი ქვეყანაა. დღეს ვფიქრობ, რომ ევროპის ერთი წაწილის კავშირი მხოლოდ ნებისმიერი და მერყეევი გადაწყვეტილებაა. მე, როგორც ძველ ფრანგ რესპუბლიკელს, მგზნებარედ მსურს, რომ ხალხებს და განსაკუთრებით ჩვენს ორ ხალხს შეეძლოთ მტკიცე მშვიდობას პირობებში იმუშაონ და ჭამონ თავიანთი პურა ისე, რომ არ ეშინოდეთ უაზრო ომისა.

მივესალმები თქვენი სახით რუს ხალხს.

ედუარდ ერიო“.

ლიონი.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ

პარიზი, 1 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის ეროვნული საბჭოს მოწოდებით გუშინ მთელ საფრანგეთში მოეწყო „დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული დღე“. ამ დღეს წინ უძღოდა აქტიური მზადება, რომლის მსვლელობაში წარმოუბდა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ პეტიციებსა და რეზოლუციებზე ხელმოწერის შეგროვება.

გუშინ მშრომელთა ათასობით დელეგაციამ ინახულა ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები და გადასცა მათ ეს საპროტესტო დოკუმენტები.

როგორც გაზეთი „ლიბერასიონი“ იუწყება, პეტიციებს უკვე მოაწერა ხელი ასეულ ათასობით ფრანგმა მშრომელმა. გუშინდელი დღის განმავლობაში „ბრძოლის ეროვნული დღის“ მომწყობმა პარიზის კომიტეტმა მიიღო დედაქალაქის მცხოვრებთა ასობით დელეგაცია. ქალაქ ლიონში პეტიციებს ხელი მოაწერა 25 ათასმა კაცმა. ქალაქ ჰავრის მერმა რადიკალმა აბადიმ და მისმა თანაშემწეებმა გუშინ მიიღეს „ბრძოლის ეროვნული დღის“ მომწყობი ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებმაც მათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მენდეს-ფრანსისათვის გადასაცემად ჩააბარეს ათობით საპროტესტო პეტიცია და რეზოლუცია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა დადების წინააღმდეგ. ტულონში მშრომელთა დელეგაციები მიიღეს ქალაქის მერმა სოციალისტმა ბელგუმ და მისმა თანაშემწეებმა, კომუნისტმა დეპუტატმა ბარტოლინიმ, მშვიდობის დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელებმა.

გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, გუშინ სტრასბურგში მოხდა მარსელის რკინიგზელების წარმომადგენელთა და ქალაქ კილის (დასავლეთი გერმანია) რკინიგზელთა დელეგაციის შეხვედრა. გერმანელმა რკინიგზელებმა აღნიშნეს, რომ დასავლეთ გერმანიაში ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა დადების წინააღმდეგ გაიღაშქრეს პროფკავშირებმა, რომლებიც თავიანთ რიგებში 6 მილიონ შრომელს აერთიანებენ.

„ლუმანიტე“ აგრეთვე იუწყება, რომ კორეზის დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „კორეზის დეპარტამენტის გენერალური საბჭო სურვილს გამოთქვამს, რომ ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით. იგი ემხრობა მოლაპარაკების გამართვას ყველა ინსტანციაში, რათა მშვიდობიანად მოწესრიგდეს გერმანიის პრობლემა. კორეზის დეპარტამენტის გენერალური საბჭო აცხადებს, რომ იგი საყოველთაო ერთდროული და კონტროლირებული განიარაღების მომხრეა“.

ჩინეთის მოსახლეობის რაოდენობა

პეკინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ჟენმინიჟიბაომ“ გამოაქვეყნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს კომუნიკე ჩინეთის მოსახლეობის აღწერის შედეგების შესახებ.

აღწერის ცნობებით, 1953 წლის 30 ივნისისათვის ჩინეთის მოსახლეობა შეადგენდა 601.938.035 კაცს. აქედან ჩინეთის ტერიტორიაზე ტაივანთან ერთად (ტაივანის მოსახლეობა, 1951 წლის ცნობებით, შეადგენს 7.591.298 კაცს) ცხოვრობს 590.194.715 კაცი. დანარჩენი 11.743.320 კაცია საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელები და სტუდენტები, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ.

მთელი ჩინეთის მოსახლეობაში (ტაივანის, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელებისა და იმ სტუდენტების გამოკლებით, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ) ჩინელები შეადგენენ 547.283.057 კაცს, ანუ 93,94 პროცენტს; ეროვნული უმცირესობანი — 35.320.360 კაცს, ანუ 6,06 პროცენტს.

ჩინეთის ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 13,26 პროცენტს, სოფლის მოსახლეობა — 86.74 პროცენტს.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ცნობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითეული პროვინციის მოსახლეობის რაოდენობისა და ჩინეთის დიდი ქალაქების მცხოვრებთა რიცხვის შესახებ. ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ცხოვრობს 2.768.149 კაცი, ტიანძინში — 2.693.831 კაცი, შანხაიში — 6.204.417 კაცი.

ოლენჰაუერის განცხადება

ბერლინი, 1 ნოემბერი. (საკდესი). როგორც დპა-ს საგანგებო იუწყება, გუშინ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა სიტყვა წარმოთქვა ვეტცლარში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგატთა კონფერენციაზე. მან განაცხადა: „ლონდონისა და პარიზის გადაწყვეტილებანი მოასწაულებენ, რომ ფედერალური რესპუბლიკა უარს ამბობს... გაერთიანებისათვის ბრძოლაზე“. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არა სურს ითანამშრომლოს ასეთ საფუძველზე.

ბრიტანეთის საერთაშორისო უშიშროების დაცვის კონგრესზე

ლონდონი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში ბრიტანეთის საერთაშორისო უშიშროების დაცვის კონგრესზე დელეგატები განაგრძობდნენ მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემების განხილვას და მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ინგლისში მშვიდობისათვის ბრძოლის აქტივიზაცია.

რეზოლუცია გერმანიის საკითხზე მოუწოდებს მშვიდობის ყველა მომხრეს მოსთხოვონ პარლამენტის თავიანთ წევრებს, რომ მათ გაიღაშქრონ და ხმა მისცენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ ცხრა სახელმწიფოს შეთანხმების წინააღმდეგ და მოითხოვონ დაუყოვნებლივ განახლდეს ოთხი-სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიის საკითხზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის მშვიდობიანი მომავალი. ამ რეზოლუციასთან დართულ მემორანდუმში ნათქვამია, რომ ცხრა სახელმწიფოს შეთანხმება უნდა უარყონ, რამდენადაც იგი „ევროპას ჰყოფს ორ ბლოკად და მრავალი წლით სპობს გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების იმედს“. მემორანდუმში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ევროპის ხალხები უარყოფენ ცხრა სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს და რომ ინგლისელი ხალხიც ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგია. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ არსებობს გერმანიის პრობლემის გადაჭრის სხვა, მშვიდობიანი გზა, რის საფუძველს შეადგენს ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის აღდგენა. საბჭოთა მთავრობის 23 ოქტომბრის ნოტა, ნათქვამია მემორანდუმში, „იძლევა ამ მიმართულებით მისაღები შეთანხმების იმედს იმ პირობით, თუ მოლაპარაკება ახლა განახლდება. ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება არ შეიძლება გადაიდოს მანამდე, სანამ მიიღებდნენ გერმანიის ხელახლა შეიარაღების გამოუსწორებელ ღონისძიებებს“.

მშვიდობის შენარჩუნების საკითხზე ერთსულოვნად, დელეგატთა ტაშით მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია: „მსოფლიოს უშიშროება არ შეიძლება ემყარებოდეს ბლოკებად დაყოფილ მსოფლიოს. მშვიდობა არ შეიძლება იყოს მსოფლიოს ყველა ხალხის ორ ბანაკად გაყოფის შედეგი. იმ საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც მსოფლიოს ჰყოფენ და კაცობრიობას ომის საფრთხეს უქმნიან, შეიძლება მხოლოდ ერთობლივი ღონისძიებებით, რომელთა მიზანია შეთანხმება და თანამშრომლობა. მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა; განიარაღება; გერმანია და ევროპის უშიშროება; კორეის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა; გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთისათვის იმ ადგილის მიცემა, რომელიც მას უფლებით ეკუთვნის; აზიის უშიშროება; კოლონიური და დამოკიდებული ხალხებისთვის სამართლიანობა და დამოუკიდებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით; დაბრკოლებათა აღმოფხვრა ყველა ქვეყნას შორის კულტურული და სავაჭრო გაცვლის გზაზე — ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა ქვეყნის ერთობლივი მოქმედების პირობით.

ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა მოითხოვს ყოველი მათგანის უფლებათა ურთიერთ პატივისცემას ქცევის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც გამოცხადებულია პრემიერების ნერუსა და ჯოუ ენ-ლაის ხუთი პრინციპით. მშვიდობიანი თანაარსებობა მოითხოვს, რომ ყველა ერთად ყველა ქვეყნისათვის თანაბრად მონაწილეობდეს მეგობრობას, ურთიერთგაგებისა და უშიშროების უზრუნველყოფაში.

ჩვენ მივესალმებით მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას — გაჩაღდეს ახალი ფართო კამპანია და 1955 წელს მოეწყოს ყველა ქვეყნის მშვიდობის ძალების წარმომადგენელთა ასამბლეა“.

სამანდატო კომისიის ცნობების თანახმად, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 339 ორგანიზაციის 633 წარმომადგენელმა. იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებმაც კონგრესზე თავიანთი დელეგატები გაგზავნეს, არიან მშვიდობის დაცვის კომიტეტები, ქალთა ეროვნული ასამბლეა, 130-ზე მეტი პროფკავშირული ორგანიზაცია, ლეიბორისტული პარტიის მთელი რიგი ადგილობრივი განყოფილებანი, სტუდენტთა, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციები.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივანმა უილიამ უეინრაიტმა შეაჯამა კონგრესის შედეგები და განაცხადა, რომ კონგრესი ინგლისში მშვიდობისათვის ბრძოლის კიდევ ერთი სერიოზული მოვლენა იყო, და მოუწოდა — აქტიურად განვახორციელოთ კონგრესის გადაწყვეტილებები.

არჩევნების წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების კამპანიის უკანასკნელ დღეებს ახასიათებს განსაკუთრებით გაფთრებული შეტაკებანი რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს (რომლებსაც ეშინიათ არ დამარცხდნენ მომავალ არჩევნებში) და დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებს შორის, რომელნიც ისწრაფვიან დაუბრუნონ თავიანთ პარტიას უმრავლესობა კონგრესში, რაც 1952 წლის არჩევნებში დაკარგეს. ბრძოლა წარმოებს სენატის 37 ადგილისათვის, წარმომადგენელთა პალატის 432 ადგილისათვის, 33 შტატის გუბერნატორთა პოსტებისა და ამ შტატების საკანონმდებლო კრებების წევრთა ადგილებისათვის. წარმომადგენელთა პალატის სამი ადგილი და სენატის ერთი ადგილი უკვე შეიგსო მენის შტატში მომხდარი არჩევნების შედეგად, რაც სექტემბერში გაიმართა.

პრეზიდენტის არჩევნებისაგან განსხვავებით, რასაც წინ უსწრებს რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ეროვნული ყრილობები, რომლებიც წამოაყენებენ სპეციალურ საარჩევნო პროგრამებს, ახლანდელ არჩევნებში ორივე პარტიის პროგრამული გეზის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ პარტიების ლიდერთა და ამა თუ იმ ჰოსტის ცალკეულ კანდიდატთა გამოსვლების მიხედვით. ამ გამოსვლებში ძირითადი ადგილი ეთმობა გაადფრებულ პოლემიკას და სენსაციურ ბრალდებებს მეორე პარტიის წევრ პოლიტიკურ მეტოქეთა და კონკურენტთა მიმართ.

ასეთი ბრალდებისა და კონტრბრალდების მიზანია შეცვალონ საგარეო და საშინაო პოლიტიკის იმ დიდმნიშვნელოვან საკითხთა სერიოზული განხილვა, რომლებიც მილიონ ამერიკელ ამომრჩეველს აღელვებს.

ასეთი საკითხები კი ცოტა როდია, როგორც ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერს, ამომრჩევლებს ახლა უმთავრესად აფიქრებს უმუშევრობა და ფერმერთა შემოსავლის შემცირება. რაც შეეხება უმუშევრობას, წინააღმდეგ ოფიციალური სტატისტიკის ციფრებისა, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი მცირდება, ამერიკის შრომის ფედერაციის ცნობებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სექტემბერში სულ ცოტა ხუთი მილიონი უმუშევარი იყო

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ პარტიას შორის არ არის არსებითი უთანხმოება საგარეო პოლიტიკის საკითხებში და იგი ძირითადად არჩევნებისწინა პოლემიკის საგანი არ არის, ამომრჩეველები, როგორც ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წერს, „შეშფოთებულნ არიან ახალი ომის საფრთხით“. ჟურნალის სიტყვით, არჩევნების დროს ეს შეშფოთება მიმართულ იქნება იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეშია“.

როგორც ყოველთვის ამერიკის არჩევნებში, მსხვილ მონოპოლიათა წარმომადგენლებს დიდი თანხები შეაქვთ ორივე პარტიის საარჩევნო ფონდებში, ისწრაფვიან რა უზრუნველყონ მათთვის სასურველი კანდიდატების არჩევა. გაზეთი „დეილი მირორმა“ 30 ოქტომბერს გამოქვეყნა ტეხასელ მილიონერთა ჯგუფის გვარები, რომლებმაც დიდი თანხები შეიტანეს რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო ფონდში. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყებოდა, მარტო ამისათვის, რომ რადიოთი და ტელევიზორით გადაეცათ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორობის კანდიდატების რესპუბლიკელი ივსისა და დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ჰარიმანის წინასაარჩევნო გამოსვლები, მილიონამდე დოლარი დაიხარჯა. რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო ფონდში დიდი თანხები შეიტანეს ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ფინანსური ოligარქიების — როკფელერების, მელონების, დიუპონების, ფორდების წარმომადგენლებმა, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყებოდა, ფინანსთა მინისტრმა ჰუფერიმ და კომპანია „რიპაბლიკ სტილ კორპორეიშნის“ პრეზიდენტმა უოატმა ერთი მილიონი დოლარი შეაგროვეს სენატში რესპუბლიკელ ბენდერის არჩევის ფონდში. „ჯენერალ მოტორსის“ კომპანია აქტიურ საქმიანობას ეწევა დეტროიტში, ცდილობს რა უზრუნველყოს თავისი აგენტის სენატორ ფერგიუსონის ხელახალი არჩევა სენატში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი წლების მანძილზე გაჩაღებულმა მაკარტისტულმა რეაქციულმა ტერორმა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ძალებს წაართვა იმის შესაძლებლობა, რომ თავიანთი კანდიდატები დაასახელონ კონგრესში ასარჩევად ბევრ შტატში. მიუხედავად ამისა, არჩევნებში კენჭს იყრიან ამერიკის მუშათა პარტიის (შედის ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ პარტიაში) კანდიდატები შტატის გუბერნატორის ან ვიცე-გუბერნატორის პოსტებზე, აგრეთვე კონგრესის 9 ადგილზე. კანდიდატთა სიებში შეტანილი არიან აგრეთვე კალიფორნიის შტატის დამოუკიდებელი პროგრესული პარტიის (აგრეთვე შედის ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ პარტიაში) წარმომადგენლები.

ხმის მიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყება 2 ნოემბერს დილის 7 საათზე და დამთავრდება დაახლოებით საღამოს 7 საათზე.

სპორტის ამგვეგი

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 1 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაითამაშეს მე-9 ტური. საბჭოთა გროსმაისტერი ბრონშტეინი შეხვდა გროსმაისტერ გლიგორიჩს. პარტია შეწყდა ბრონშტეინისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ბარცამ კარგად გაითამაშა პარტია ნივერგელტის წინააღმდეგ და მოიგო 32-ე სვლაზე. ნედელკოვიჩმა მოუგო ვეიდს, მატანოვიჩმა — რაბარს.

ივკოვ-პეტროსიანის პარტია გადაიდო პეტროსიანისათვის მძიმე მდგომარეობაში. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ბელგრადი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დილით გაითამაშეს მეცხრე ტურის დაუმთავრებელი პარტიები. ივკოვმა ზუსტად გაანაღდა თავისი უპირატესობა პარტიაში პეტროსიანთან და გაიმარჯვა. იანშევიჩ-ტრიფუნოვიჩის პარტია ყაიმით დამთავრდა. მილიჩმა მოუგო კარაკლაიჩს. იოპენ-პორეას პარტია ყაიმით დამთავრდა. პირც-ჩერნიაკის პარტიაში მოიგო პირცმა. პილნიკ-ჯურაშევიჩის პარტია, რომელიც მწვავედ მიმდინარეობდა, ყაიმით დამთავრდა. კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ბრონშტეინ-გლიგორიჩის პარტია.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში

ბრიუსელი, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს „რუკუს“ სტადიონზე ქალაქ ლიეჟის გარეუბანში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდსა და ლიეჟის სასპორტო კლუბის ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ლიდერობენ ბელგიის ფეხბურთელთა პირველობის გათამაშებაში.

თამაში დამთავრდა „სპარტაკის“ გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 5:2. როგორც წინა შეხვედრაში, საბჭოთა ფეხბურთელების თამაშმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩის დამთავრების შემდეგ საზოგადოება გულთბილად მიესალმა საბჭოთა ფეხბურთელებს.

ვარშავა, 1 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ხოჟუეში გაიმართა მეორე საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება საბჭოთა და პოლონელ ფეხბურთელებს შორის. „დინამოს“ გუნდი (კიევი) შეხვდა პოლონეთის არაერთგზის ჩემპიონს, მიმდინარე წლის პირველობის ლიდერს ფეხბურთში — „უნიას“ გუნდს (ხოჟუეი). შეხვედრა დამთავრდა პოლონელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 5 : 0.

მეგობრობის მატჩი

კიევი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ, უკრაინისა და ბელორუსიის სსრ ფრენბურთელ ქალთა და ეაქთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

უკანასკნელ დღეს მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო პოლონელთისა და ბელორუსიის ქალთა გუნდების შეხვედრამ. გაიმარჯვეს პოლონელმა ფრენბურთელებმა.

მეგობრობის მატჩი დამთავრდა პოლონეთისა და უკრაინის ვაჟთა გუნდების შეხვედრით. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიშით 3 : 1 გაიმარჯვა უკრაინის გუნდმა.

შეჯიბრების შედეგად პირველი ადგილი ქალთა გუნდებს შორის დაიკავეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლონელი ფრენბურთელი ქალები. ვაჟთა ნაკრებ გუნდებს შორის ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა უკრაინის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავეს რუსეთის სფსრ ფრენბურთელებმა.

ქუთაისი. საავტომობილო ქარხნის მუშათა საცხოვრებელი სახლები.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

შეჯიბრება სპორტის სახანძრო-გამოყენებითს სახეობაში

ამ დღეებში თბილისში გაიმართა საქართველოს მეათე შეჯიბრება სპორტის სახანძრო-გამოყენებითს სახეობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, გაგრის, ქუთაისის, რუსთავისა და სტალინირის სახანძრო რაზმებმა.

შეჯიბრების გახსნის წინ შეკრებილთ მიესალმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ჯ. ჯანჯღავა, რის შემდეგ წარსული შეჯიბრების ჩემპიონმა ა. სარიმელმა აღმართა ალაბი.

შეჯიბრება დაიწყო დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვით. ამ სახეში საუკეთესო დრო აჩვენა თბილისელმა ი. ბარამძემ. მას ერთი ერთი მეათედით ჩამორჩა შ. დარცელია (ბათუმი). კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე სოხუმელებმა ა. კილასონიამ და მ. ქაჩიბაიამ. სახანძრო ამანათრბენში 4×100 მეტრზე პირველ ადგილებზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის და სოხუმის გუნდები.

საიერიშო კობით მე-4 სართულზე ასვლაში კარგად იმუშავეს ბათუმელებმა ი. უშვერიძემ, მ. დარცელიამ, ა. სარიშვილმა, სოხუმელებმა მ. ქაჩიბაიამ და გ. ჩალუკიანმა, ხოლო 3-მუხლიანი კობით ვარჯიშში — თბილისელებმა ი. ხუტაშვილმა, ვ. სამაშვილმა, შ. მებაგოვმა, ი. ბარამიძემ, შ. ონოფრიშვილმა, ს. სლანოვმა, აგრეთვე სოხუმელმა სახანძრო მუშაკებმა.

ოპერატიულ ქვეგანაყოფთა საბრძოლო გაშლაში პირველი ადგილი აიღეს თბილისელებმა, ხოლო მეორე — ქუთაისმა.

გარდამავალი ეიმპელი გადაეცათ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს სიგელით დაჯილდოებული არიან თბილისის პირველი ნაკრები გუნდი (მწვრთნელი ა. როჩიკაშვილი) და სოხუმის ნაკრები გუნდი (მწვრთნელი ს. მანშინი). ამ ნაკრები გუნდების პირადი შემადგენლობა დაჯილდოებულია სიგელებითა და ნიშნით „საუკეთესო მეხანძრე“.

1954 წლის ჩემპიონის სატიტო წოდება მოიპოვეს — ორჯერ მ. დარცმელიამ, მე-4 სართულის იერიშში — ა. სარიშვილმა (ორივე ბათუმიდან), დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში — თბილისელმა ი. ბარამიძემ.

დაიწყო საღღესასწაულო ვაჭრობა

თბილისში დაიწყო საღღესასწაულო ვაჭრობა. ამ დღეებში მაღაზიებში გაიყიდება 150 ტონამდე თევზი, ამდენივე ხორცი, 40 ტონა დაკლული ფრინველი, აგრეთვე შეზვეული, ლორი, კარაქი, 150 ტონა ყველი — შვეიცარული, ჰოლანდიური, საბჭოთა, ქართული, თუშური და სხვა, 200 ტონამდე საკონდიტრო ნაწარმი — ტორტი, წვრილი ნამცხვარი, აღმოსავლური ტკბილეული, ფართო ასორტიმენტის ფეხსაცმელი, ყურძენი, ხილი და ბოსტნეული.

წინასაღღესასწაულო დღეებში — 4, 5 და 6 ნოემბერს ყველა სასურსათო და პურ-ფუნთუშეულის მაღაზია იმუშავებს ღამის 12 საათამდე.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 4 და 5 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით — 7-12, დღისით 18-23 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 6-11, დღისით 16-21 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

ა. რაზმაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

1 ნოემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიქტო დარბაზში შედგა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი დიდი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ვ. კუპრაძემ.

ანდრია რაზმაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფესორმა ა. ხარაძემ. მოხსენება — „ანდრია რაზმაძე, როგორც მეცნიერი და მასწავლებელი“ — წაიკითხა პროფესორმა ლ. გოკიელმა.

მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები ა. შანიძე, ვ. ჭელიძე, ე. წითლანაძე, მ. ნოდია, დოცენტი თ. ცხადაია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაცკიკიძე

დისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1954 წლის 19 ნოემბერს, დღის 3 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირაკლი ლავრენტის-ძე მათიკაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**К ревизии видового состава эндоглобулярных паразитов крупного и мелкого рогатого скота**“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1954 წლის 16 ნოემბერს, დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ირაკლი გიორგის ძე ანთელავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века**“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს თერაპიის მეორე კათედრის გამგის თანამდებობაზე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი).

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ორ ცალად შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, სამეცნიერო შრომების სია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დიპლომი, პროფესორის ან დოცენტის სამეცნიერო წოდების ატესტატი, სამეცნიერო შრომების რეცენზიები, დახასიათებანი: საზოგადოებრივი-პოლიტიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მისამართით: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12.

ДИЛЕРА ЗАЦИЕВА ДАЦУА

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ ИМЕНИ СТАЛИНА

(Университетская ул. № 1)

19 ноября 1954 г., в 3 часа дня (№ 93 аудитория) на соискание ученой степени доктора биологических наук по специальности паразитологии **ИРАКЛИ ЛАВРЕНТИЕВИЧ МАТИКАШВИЛИ** будет защищать диссертацию на тему: „**К ревизии видового состава эндоглобулярных паразитов крупного и мелкого рогатого скота**“.

Диссертация имеется в библиотеке университета.

ТБИЛИССКИЙ ИНСТИТУТ ВРАЧЕБНОЙ ЗАЩИТЫ

(Дзержинского ул. № 8)

16 ноября 1954 г., в 2 часа дня состоится ученый совет Института для защиты диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук **ИРАКЛИ ГИОРГИЕВИЧ АНТЕЛАВА** на тему: „**Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века**“.

Диссертация имеется в библиотеке Института (Дзержинского ул. № 8, II этаж).

ДЕЛИСИС ИКОДРОМИ

8 და 11 ნოემბერს

ცხენოსნობა

საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ პირადი გუნდური

პირველობა

დასაწყისი დღის 12 საათზე.

ბილეთები იყიდება 4 ნოემბრიდან „დინამოს“ სტადიონის და კიროვის სახელობის კალათბურთის სტადიონის სალაროებში დღის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები

ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს

მოთხოვნამდე, ვადიანს, პრიზებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გაიცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე;

ბანკნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში;

აწარმოებენ აკრედიტივების გაცემასა და განაღდებას;

ანაღდებენ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

შემნახველ სალა